



საქართველოში განხორციელებული რეალური ინვესტიციების ანალიზი და შეფასება

რეზიუმე

ბაქარ ბერუაშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: Baqarberuashvili@yahoo.com

შეჯამება

ინვესტიციების რეალიზაცია ქვეყანაში შექმნილ გარემო-პირობებზეა დამოკიდებული. თუ ეს პირობები ინვესტიციების მისაღებად იგი ახორციელებს ინვესტირებას, თუ არა და სხვა ქვეყნისკენ მიმართავს იგი მას.

საქართველოში განხორციელებული რეალური ინვესტიციების ანალიზმა აჩვენა ბოლო წლებში, კერძოდ, 2013 წელს მისი შემცირება, თუმცა, ყველა წინა წელთან შედარებით, გარდა 2012 წლისა, იგი გაზრდილია. სტატიაში ეს ახსნილია საქართველოში მომხდარი მთავრობის შეცვლით, რაც ინვესტირებისთვის გარკვეულ რისკს წარმოადგენდა.

სტატიაში მოცემულია ინვესტიციების სტრუქტურა, როგორც დაბანდების სფეროების მიხედვით, ისე ინვესტიციების წყაროების მიხედვით. დაბანდების სფეროებში პირველ ადგილზეა სახელმწიფო მმართველობა და საერთო სარგებლობის აქტივები, ინვესტიციების წყაროებში კი – ადგილობრივი ინვესტიციები. 2008-2012 წლებში საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი 62,9%-დან 23,4%-მდის შემცირდა.

საკვანძო სიტყვები:

ინვესტიცია	ადგილობრივი
ინვესტირება	ინვესტორი
ანალიზი	რეალური
შეფასება	
უცხოური	

ინვესტიცია ეწოდება იმ ქონებრივ ფასეულობას, რომელიც იხარჯება მოგების მიღების მიზნით. ინვესტიციების მოცულობაზე არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ზრდა.

განვითარებადი ქვეყნები ინვესტიციების მოსაზიდად აქტიურ პოლიტიკას ახორციელებენ. იგივეს აკეთებენ განვითარებული ქვეყნებიც. აშშ-იც კი, რომელიც ეკონომიკური სიძლიერის მიხედვით პირველი ქვეყანაა მსოფლიოში ყოველწლიურად 236,2 მლრდ დოლარი უცხოური ინვესტიცია შეედინება. იგივე ხდება გერმანიაში (68,9 მლრდ დოლარი), საფრანგეთში (41,8 მლრდ დოლარი), კანადაში (30 მლრდ დოლარი) და ა. ს. [შენგელია თ., 2012, გვ. 40]. ეს ინვესტიცია არ არის მაინცდამაინც ფულადი კაპიტალი. მის გარდა ეს არის ტექნიკური ნოუ-ჰაუ, მენეჯერში ცოდნა და სხვ. სწორედ ასეთი სიახლეების შემოტანა და დანერგვა ავითარებს ქვეყანას.

განვითარება ყველაზე მეტად ჩამორჩენილ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს სჭირდებათ. ასეთია საქართველოც. საქართველო დარიბი ქვეყანაა. ინვესტიციებს საკუთარი შესაძლებლობით იგი ვერ ააღორძინებს ეკონომიკას. საჭიროა დიდი ძალისხმევის გაწევა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

1. საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი

ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა და სტრუქტურა წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორ ვითარდება მისი ეკონომიკა. განსაკუთრებით ეს ეხება რეალურ ინვესტიციებს, ანუ ინვესტიციებს ძირითად კაპიტალში.

ცხრილი 1-ის მონაცემებით ვიგებთ, რომ საქართველოში 2012 წელს ძირითად კაპიტალში დაიხარჯა 6496,8 მლნ ლარი ინვესტიცია, ანუ 58,5%-ით მეტი, ვიდრე 2008 წელს და 11,8%-ით მეტი, ვიდრე 2011 წელს. ზრდის ამ ტენდენციას გვიჩვენებს ნახაზი 1.



ცხრილი 1


ინვესტიციები ძირითად კაპიტალში
(მლნ ლარი) [სტატისტიკური კრებული, 2014, გვ. 17]

	2008	2009	2010	2011	2012	2013	დინამიკა 2013 წ. %-ად 2008 წელთან
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	391,4	372,0	457,8	520,4	714,3	812,3	207
მრეწველობა	763,6	213,3	426,9	729,3	613,6	891,3	117
მშენებლობა	411,6	163,9	99,8	206,3	495,0	395	96
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	279,5	146,5	352,9	586,8	578,7	595,7	214
სასტუმროები და რესტორნები	57,6	30,1	24,9	51,6	87,6	105,3	184
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	450,8	245,9	348,6	623,3	909,1	555,3	123
საფინანსო საქმიანობა	111,3	70,2	69,1	112,7	144,5	132,7	120
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	280,8	115,1	441,8	710,1	821,7	772,3	275
განათლება	34,5	33,1	60,2	87,4	108,4	82,5	241
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	59,2	73,1	79,5	118,9	195,8	150,7	256
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	210,6	115,2	91,5	160,2	286,4	94	79,7
სახელმწიფო მმართველობა და საერთო სარგებლობის აქტივები (გზები, საინჟინრო ნაგებობები)	826,7	1041,4	1320,9	1298,0	1219,0	1014,8	97,4
პირადი სარგებლობის აქტივები (საცხოვრებელი, აგარაკები და საოჯახო სამეურნეო საშუალებები)	220,9	135,6	235,2	269,5	322,7	290,4	214,8
ინვესტიციები ძირითად კაპიტალში - სულ	4098,5	2755,4	4009,0	5474,3	6496,8	5892,7	214



ნახაზი 1.

ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა საქართველოში



როგორც ცხრილიდანაც და ნახაზიდანაც ჩანს, ინვესტიციების მნიშვნელოვანი კლება, თითქმის განახევრება მოხდა 2009 წელს. ეს გამოიწვია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა. საომარი მდგომარეობის და აქედან გამომდინარე, არასტაბილური ვითარების შიშით, ინვესტორებმა 2009 წელს უკვე აღარ გაბედეს საქართველოში ინვესტიციების დაბანდება. 2010 წელს ეს მდგომარეობა გამოსწორდა. ინვესტიციების სტრუქტურა 2013 წელს მეურნეობის დარგების მიხედვით ასეთია:

➤ პირველ ადგილზეა – სახელმწიფო მმართველობა და საერთო სარგებლობის აქტივები (მასში დახარჯულია 1014,9 მლნ ლარი, ანუ მთელი ინვესტიციების 17,2%).

➤ მეორე ადგილზეა – მრეწველობა (აქ დახარჯულია 891,3 მლნ ლარი, ანუ მთელი ინვესტიციების 15,1%).

➤ მესამე ადგილზეა – სოფლის მეურნეობა (აქ დახარჯულია 812,3 მლნ ლარი, ანუ მთელი ინვესტიციების 13,6%).

➤ მეოთხე ადგილზეა ოპერაციები უძრავი

ცხრილი 2

ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების სტრუქტურა საქართველოში (%-ში) [გაანგარიშებულია ჩვენს მიერ წინა ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით]

	2008	2013
სოფლის მეურნეობა	9,5	13,6
მრეწველობა	18,6	15,1
მშენებლობა	10	6,7
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	10,9	9,4
ოპერაციები უძრავი ქონებით	6,8	13,6
სახელმწიფოებრივი მმართველობა და საერთო სარგებლობის აქტივები	20,9	17,2
დარჩენილი დარგები	23,3	24,4



ქონებით (აქ დახარჯულია 772,3 მლნ ლარი, ანუ მთელი ინვესტიციების 3%).

➤ მეხუთე ადგილზეა მვაჭრობა (აქ დახარჯულია 595,6 მლნ ლარი, ანუ მთელი ინვესტიციების 10%).

2008 წელს ინვესტიციების სტრუქტურა ცოტა სხვანაირი იყო:

➤ პირველი ადგილი ეკავა სახელმწიფო მმართველობას და საერთო სარგებლობის აქტივებს (20,9%).

➤ მეორე ადგილი ეკავა მრეწველობას (18,6%).

➤ მესამე ადგილი ეკავა ტრანსპორტს და კავშირგაბმულობას (10,9%).

➤ მეოთხე ადგილი – მშენებლობას (10%).

➤ მეხუთე ადგილი სოფლის მეურნეობას (9,5%).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ინვესტიციების საერთო მოცულობაში გაიზარდა სოფლის მეურნეობის, და უძრავი ქონების ოპერაციების წილი. ყველაზე დიდი ზრდა ამ უკანასკნელში მოხდა. ეს იმიტომ ხდება, რომ მოსახლეობამ იცის, რომ არასტაბილურ ქვეყანაში ყველაზე ნაკლებ სარისკო არის ფულის უძრავ ქონებაში დაბანდება. ამასვე აკეთებენ უცხოელი ინვესტორებიც ჩვენთან. ისინი ყიდულობენ მიწებს, საცხოვრებელ სახლებს, საბჭოთა დროიდან დარჩენილ სახელმწიფო ქონებას და ა.შ. ეს ისეთ მასშტაბებს

აღწევს, რომ უნებლიედ გიჩნდება შიში – ხომ არ დაემუქრება საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის დაკარგვის რისკი?

ცხრილი 3 გვიჩვენებს ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ფორმირების წყაროებს. აღმოჩნდა, რომ 2008 წელს მისი 65% სამეწარმეო სექტორის ინვესტიციები იყო, 14,4% – შინამეურნეობების (ე. ი. ოჯახების), 20,6% კი – სახელმწიფო სექტორის. 2012 წელს 0,1%-ით შემცირდა სამეწარმეო სექტორის ინვესტიციების წილი, 1%-ით გაიზარდა შინამეურნეობების წილი და 1,9%-ით შემცირდა სახელმწიფოს წილი.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით სასურველია, რომ შინამეურნეობების წილი ინვესტიციებში უფრო მაღალი იყოს და თანაც მნიშვნელოვნად იზრდებოდეს.

2. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში

საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებში მნიშვნელოვანი ადგილი უცხოურ ინვესტიციებს უკავიათ. მათი განაწილება ქვეყნების მიხედვით იხილეთ ცხრილში 4. საიდანაც ჩანს რომ 2012 წელს საქართველოში უცხოეთიდან განხორციელებულ ინვესტიციებს შორის პირველ ადგილზეა გერმანია (138813 ათ. დოლარი), მეორეზე კი გაერთიანებული სამეფო (93603 ათ. დოლარი).

ცხრილი 3

მთლიანი კაპიტალის ფორმირება [სტატისტიკური წელიწდეული, 2014, გვ. 176]

	2008	2009	2010	2011	2012	2013
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	4098,5	2755,4	4009,0	5474,3	6496,3	5892,7
სამეწარმეო სექტორის ინვესტიციები ძირითად საშუალებებში	2679,1	1224,9	2018,0	3412,5	4276,5	3657,2
შინამეურნეობების ინვესტიციები საცხოვრი სებში, სამრეწველო ნაგებობებსა და კულტივირებად აქტივებში	592,7	489,0	670,1	763,9	1001,2	1062,1
ინვესტიციები საერთო სარგებლობის აქტივებში (გზები, საინჟინრო ნაგებობები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები)	826,7	1041,4	1320,9	1298,0	1219,0	1014,9
მარაგების ცვლილება	853,1	-412,5	468,7	893,7	1078,6	910,2
მთლიანი კაპიტალის ფორმირება	4951,6	2342,9	4477,7	6368,0	7575,4	6645,2



ცხრილი 4

**საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ძვენების მიხედვით** [სტატისტიკური წელიწადეული, 2014, გვ. 176]

	2008	2009	2010	2011	2012
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - სულ	1563,962	658,401	814,497	117244	911564
მათ შორის:	476,655	224,722	248,211	554,239	440,348
ევროკავშირის ქვეყნები	51463	29709	10045	28517	13500
ავსტრია	62	113	23	-20	-845
ბელგია	13	-291	-90	916	2235
ბულგარეთი	148908	72313	58964	54977	93603
გაერთიანებული სამეფო	40591	21345	12848	25513	138813
გერმანია	256	-427	18	97170	6558
დანია	5475	137	91	30	942
ესპანეთი	-211	5723	-52	-332	385
ესტონეთი	224	65	316	279	207
ირლანდია	6048	1684	5141	-5233	529
იტალია	26166	-1612	40388	10359	38685
კვიპროსი	756	-18	-1	-103	1052
ლატვია	-114	3560	24441	-1847	578
ლიტვა	5731	9497	7060	43284	42032
ლუქსემბურგი	-	-	16768	6186	32204
მალტა	135870	32586	73362	241819	35368
ნიდერლანდები	23	11	53	152	-14
პოლონეთი	117	24	22	4	168
პორტუგალია	5431	-	-11	41	-
რუმინეთი	-1850	1522	4485	1185	178
საბერძნეთი	8180	11958	-7820	7353	25864
საფრანგეთი	-	23	9	20	3686
სლოვაკეთი	1025	-47	-	-	-32
უნგრეთი	7635	-8831	-1596	-3615	-4465
შვედეთი	34858	45679	24213	46598	8031
ჩეხეთი	-	-	1533	993	1086
ფინეთი	94696	1024	91156	193048	86736
დსთ-ს ქვეყნები	23943	29824	57962	138016	59007
აზერბაიჯანი	102	-223	-92	152	-257
ბელარუსი	-	-	-	-	7
თურქმენეთი	-	-85	-	42	-104
მოლდოვა	26212	10253	47881	55435	20486
რუსეთი	-15061	-5378	-16515	-12384	5931
სომხეთი	-	175	23	-65	-207
უზბეკეთი	-6442	-1564	4396	1648	-1199
უკრაინა	65942	-31973	-16574	5175	401
ყაზახეთი	0	-6	14075	5029	2671
სხვა ქვეყნები	968961	390848	429944	275062	321025
ავსტრალია	109	99	-238	96	139
არაბთა გაერთიანებული ემირატები	306576	162756	58531	-52358	24420
არგენტინა	-90	-	-	-	-
აშშ	167921	-10026	135819	28106	20254
ბრაზილი	-	-	-	184	418
ბელიზი	37823	3101	689	28118	14907



გიბრალტარი	5307	4089	-23574	-803	-630
გუგუპტე	-	55751	18000	11788	-
ერაყი	-	-	-	-	-
ვირჯინიის კუნძულები, ბრიტანეთის	156847	35434	40236	42120	19804
თურქეთი	164525	97940	91787	75524	81060
იაპონია	11655	-30809	17492	23011	13850
ინდოეთი	26998	271	14887	16270	5150
იორდანია	-	-79	-4086	-693	453
ირანი	1449	1188	1084	1059	889
ისლანდია	0	185	716	117	-63
ისრაელი	-2048	1230	7954	5585	9825
კაიმანის კუნძულები	-7007	2161	12332	21660	6529
კანადა	-104	-96	362	3125	1035
ლიბანი	212	-	102	1250	-461
ლიბია	-	-46	-	-	-
ლისტენშტაინი	5016	1913	35045	-8466	1679
მავრიკი	-	-	-99	13701	5029
მარშალის კუნძულები	1501	2767	7789	10728	4996
ნორვეგია	2693	1005	2023	3049	4120
პანამა	-2470	74742	-5025	2182	9803
საუდის არაბეთი	-	-2	-	2038	39475
სეიშელები	4351	1482	5468	8637	8761
სენტკიტს-ნევისი	-	-	-	-107	-5435
სირია	9	13	63	103	-10
ფილიპინები	-	-	1620	-	-
შვეიცარია	89959	-11984	21885	27910	10029
ჩინეთი	-2271	-2237	-7882	9643	36126
დანარჩენი ქვეყნები	-	11067	-35	1483	8871
საერთაშორისო ორგანიზაციები	23651	30739	45186	94897	63455

რაც შეეხება უცხოური ინვესტიციების წილს საქართველოს ძირითად კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებში, იგი ჩვენ ქვემოთ მოტანილ ცხრილში 5 ვიანგარიშეთ.

მაშასადამე, გასულ 4 წლიან პერიოდში (2008-



2012 წ.წ.) უცხოური ინვესტიციების შემოდინების შემცირების გამო მათი წილი 62,9%-დან შემცირდა 23,4%-მდე (იხ. ნახაზი 2). თუ იგი ადგილობრივმა ინვესტიციებმა ჩაანაცვლეს, მაშინ ეს კარგი საქმეა, თუ არა და საქართვე-

ცხრილი 5

უცხოური ინვესტიციების წილი საქართველოს საინვესტიციო საქმიანობაში (%)

[გაანგარიშებულია ჩვენს მიერ]

	2008	2012
სულ ინვესტიციები ძირითად კაპიტალში (მლნ ლარი)	4098,2	6496,8
უცხოური ინვესტიციები	1563962 $1563962 \cdot 1.65 =$ 2580537.0 ანუ 2580,5 მლნ ლარი	911564 $911564 \cdot 1.68 =$ 1531427.5 ანუ 1531,4 მლნ ლარი
ა) დოლარებში (ათასი დოლარი)	$\frac{2580.5 \cdot 100}{4098.2} = 62.9\%$	$\frac{1531.4 \cdot 100}{6496.8} = 23.4\%$



ნახაზი 2. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წილი საქართველოს შიდა ბირთვულ კაპიტალში

ლოს ეკონომიკის განვითარება მეტად ჩამორჩება.

საქართველო ღარიბი ქვეყანაა. მოსახლეობის 3-5%-ია მხოლოდ მდიდარი. ისინიც არჩევენ საზღვარგარეთ დაბანდონ კაპიტალი და არა საქართველოში. ამიტომ, როგორც მათთვის, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველოში უნდა შეიქმნას კაპიტალის დაბანდების მიმზიდველი გარემო. ინვესტორს არ უნდა ეშინოდეს პოლიტიკური არასტაბილურობის, შინაომის, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ცვლილების (მათ საზიანოდ), საკუთრების ხელ-შეუხებლობის და ა.შ. მხოლოდ ასეთი ვითარების შექმნის შემდეგ აირჩევენ ინვეს-

ტორები თავისი კაპიტალის დასაბანდებლად საქართველოს და არა რომელიმე სხვა ქვეყანას.

დასკვნა

ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ეკონომიკის ინვესტიციური მიმზიდველობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. ამას ადასტურებს უცხოური ინვესტიციების შემოდინების შემცირება. საჭიროა ქვეყნის მთავრობამ შექმნას ისეთი კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც შელავათებს მისცემენ უცხოელებს საქართველოში კაპიტალის ინვესტირებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია თ., საერთაშორისო მენეჯმენტი, თბ., 2013.

2. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2014.

THE ANALYSIS AND ASSESSMENT OF THE REAL INVESTMENTS MADE IN GEORGIA

BAQAR BERUASHVILI

PhD of GTU

E-mail: Baqarberuashvili@yahoo.com

Summary

Realization of investments depends on surrounding condition in a country. If this condition is interesting for investor, he invests money for this project and if not, he remittance money in another country.

Implementation Analysis of real investment in Georgia showed evidence in last years, that in 2013 it decreased, but in another years, except 2012 it was increasing. In this article It is explained because of change Georgian government and this was big risk for investments.

In this article is shown structure of investments, with sphere of invest and source of it. From sphere of invest in a first place is taken state board of administration and general proper assets, and in a source is taken local investments. Investments from Foreign countries in Georgia decreased from 62.9% to 23.4% in a 2008-2012 year.